რეგულირების გავლენის შეფასების (RIA-ს) ექსპერტების სერტიფიცირების საერთაშორისო გამოცდილება

27 აპრილი, 2023

დაიჯესტი

შემოსვლის თარიღი	31/03/2023
შეკითხვის ავტორი	შორენა კახიძე, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი
შეკითხვა	RIA-ს ექსპერტების სერტიფიცირების საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის მიზნით, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია ევროპის საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრის (ECPRD) ფარგლებში, სხვა ქვეყნებში არსებული RIA-ს ექსპერტების სერტიფიცირების არსებული პრაქტიკის შესახებ, საბიუჯეტო ოფისის მიერ მომზადებული კითხვარის მიხედვით (დანართი #1)

შემაჯამებელი მიმოხილვა

რეგულირების ზეგავლენის შეფასება (RIA) წარმოადგენს კარგი რეგულირების პრაქტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც ხელს უწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული, ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას. აღსანიშნავია, რომ RIA-ს თავისი არსით, აფასებს არა მხოლოდ რეგულირების ფინანსურ შედეგებს, არამედ ასევე განიხილავს საკითხის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებს და შედარებითი ანალიზის საფუძველზე საშუალებას იძლევა გამოვლინდეს საუკეთესო ალტერნატივა საკითხის გადასაწყვეტად. RIA შესაძლებელია განხორციელდეს როგორც საკანონმდებლო ასევე არასაკანონმდებლო სახის ინიციატივებზე.

1. **რეგულირების ზეგავლენის შეფასების პრაქტიკა**-დღესდღეობით, მსოფლიოს 89 ქვეყანა იყენებს RIA-ს როგორც კარგი რეგულირების პრაქტიკის ინსტრუმენტს. RIA-ს გამოყენების პრაქტიკა განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. ზოგიერთ ქვეყანაში RIA-ს განხორციელება სავალდებულოა და ადგილობრივი კანონმდებლობით განსაზღვრულია ნორმატიული აქტების ჩამონათვალი, რომლებისთვისაც სავალდებულოა სიღრმისეული ან პირველადი სახის შეფასების განხორციელება. ძირითადად პირველად კანონმდებლობასა და შესაბამის კანონქვემდებარე აქტებზე, ასევე მთავრობის მიერ წარდგენილ საკანონმდებლო ინიციატივებზე, რომელთა განხორციელებაც გამოიწვევს მნიშვნელოვან ეკონომიკურ, სოციალური ან სხვა სახის გავლენებს.
2. **RIA-ს ფოკუსი და სიღრმე**-საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზიდან გამომდინარე, ძირითადად RIA-ს ანგარიშში ასახულია რეგულაციის შედეგები სახელმწიფო ბიუჯეტზე, საჯარო ინსტიტუტებისა და ბიზნესის ადმინისტრაციულ ხარჯებზე, ასევე ეკონომიკური გავლენა კერძო სექტორზე, გავლენა ბიზნეს გარემოსა და კონკურენციაზე. ზოგ შემთხვევაში, RIA-ს ანგარიში უფრო დეტალურია და მოიცავს კანონპროექტის ზეგავლენის ანალიზს გარემოზე, გენდერზე, საერთაშორისო შეთანხმებებზე და მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორზე (SME). აღსანიშნავია, რომ

ქვეყნების 59% აქტიურად იყენებს SME ტესტს, როგორც ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც ხდება მცირე და საშუალო ბიზნესისთვის რეგულაციის მოსალოდნელი ეკონომიკურ შედეგების შეფასება. SME ტესტი შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც დამოუკიდებლად და თან დაერთოს კანონპროექტს განმარტებით ბარათთან ერთად, ასევე წარმოადგენდეს RIA-ს ანგარიშის ნაწილს.

3. **RIA-ს ხარისხის კონტროლი-**ქვეყნების უმეტესობას, რომლებიც იყენებენ RIA-ს კანონშემოქმედებით საქმიანობისა და პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში, შემუშავებული აქვს მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები, სადაც განსაზღვრულია შეფასების განხორციელების პროცესის ძირითადი პრინციპები. რაც შეეხება ხარისხის ზედამხედველობას, ზოგიერთ ქვეყანას ყავს განსაზღვრული დამოუკიდებელი უწყება, რომელიც უზრუნველყოფს RIA-ს განხორციელების პროცესის ზედამხედველობასა და ხარისხის კონტროლს. მაგალითისთვის, გაერთიანებულ სამეფოში, RIA-ს ხარისხის კონტროლსა და ზედამხედველობას ახორციელებს მარეგულირებელი პოლიტიკის კომიტეტი (Regulatory Policy Committee), რომელიც შედგება დამოუკიდებელი ექსპერტებისგან, რომლებიც არ წარმოადგენენ საჯარო მოხელეებს. მსგავსი პრაქტიკა ასევე არის ჩეხეთის რესპუბლიკაში, სადაც RIA-ს ხარისხის კონტროლს ახორციელებს მთავრობის საკანონმდებლო საბჭოს სამუშაო ჯგუფი, რომლებიც შედგება დამოუკიდებელი ექსპერტებისგან.
4. **RIA-ს განმახორციელებელი უწყება-** ძირითად შემთხვევაში, რეგულირების გავლენის შეფასება ხორციელდება სამთავრობო ინსტიტუტების მიერ. მეტწილად, RIA-ს მომზადებას უზრუნველყოფს კანონპროექტის ინიციატორი სამინისტრო, და შეფასებას ახორციელებენ შესაბამის უწყებაში დასაქმებული საჯარო მოხელეები. შეფასების მომზადებისას იშვიათად მიმართავენ აუთსორსინგს, თუმცა საჭიროებისამებრ შესაძლოა მოხდეს გარე ექსპერტის მოწვევა.
5. **RIA-ს ექსპერტთა სერტიფიცირება**-ექსპერტებისა და კონსულტანტების სერტიფიცირება სავალდებულო არ არის. თუმცა, აქტიურად არის წახალისებული საჯარო მოხელეების უნარებისა და ცოდნის გაძლიერება RIA-ს მეთოდოლოგიასა და განხორციელების პროცესთან დაკავშირებით. აღნიშნული მიზნით, სასწავლო კურსები და ტრენინგები იგეგმება და ხორციელდება როგორც სახელმწიფო ინსტიტუტების, ასევე კერძო სექტორის ან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. შედარებით განსხვავებულია მიდგომა გაერთიანებულ სამეფოში, მიუხედავად იმისა რომ უშუალოდ RIA-ს ექსპერტის სერტიფიცირება სავალდებულო არ არის, მნიშვნელოვანია რომ იმ პირებს, რომლებიც აფასებენ ბიზნესის საქმიანობასთან დაკავშირებულ შედეგებს ჰქონდეთ პროფესიული აკრედიტაცია შესაბამის სფეროში. ხოლო, პროფესიული გადამზადება და ტრენინგები ხორციელდება აკრედიტებული კერძო ტრენინგ პროვაიდერების მიერ.[1]
6. **RIA-ს ექსპერტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები**-საკვალიფიკაციო მოთხოვნები მკაცრად განსაზღვრული არ არის, ძირითადად დამოკიდებულია რეგულაციის კონტექსტზე. თუმცა არსებული პრაქტიკის ანალიზიდან გამომდინარე, შეფასებას ახორციელებენ პირები რომელთაც აქვთ ცოდნა და გამოცდილება ეკონომიკურ, სოციალურ, გარემოსდაცვით საკითხებზე, იცნობენ RIA-ს მეთოდოლოგიურ ჩარჩოსა და განხორციელების პრინციპებს, ასევე პოლიტიკის დაგეგმვისა და კანონშემოქმედებით პროცესს.

RIA-ს განხორციელებისა და ინსტიტუციონალიზაციის საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ კვლევით ანგარიშში.

[1] შენიშვნა: უფრო დეტალური ინფორმაცია იხ. ბულზე

რეგულირების გავლენის შეფასების (RIA-ს) ინსტრუმენტის ინსტიტუციონალიზაციისა და ექსპერტების სერტიფიცირების საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი

*პუბლიკაცია მომზადდა საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრის მიერ, 2023 წლის 31 მარტს შემოსულ **# 2379/2-15/23** წერილის პასუხად. დოკუმენტში შეჯამებულია რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) ექსპერტთა სერტიფიცირების საერთაშორისო პრაქტიკა. დოკუმენტი მომზადდა ევროპის საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრის (ECPRD) პარტნიორი ქვეყნებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.*

სარჩევი

შემაჯამებელი მიმოხილვა 1

აბრევიატურები 5

შესავალი 6

რეგულირების ზეგავლენის შეფასების საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა 7

RIA-ს ინსტიტუციონალიზაცია 9

RIA-ს შედეგების საჯაროობა 11

ევროპარლამენტის გამოცდილება 12

ევროპის ქვეყნების გამოცდილება 13

1. ალბანეთი 13
2. ბელგია 13
3. კანადა 14
4. ხორვატია 15
5. ჩეხეთის რესპუბლიკა 16
6. ესტონეთი 16
7. გერმანია 17
8. ლატვია 17
9. ლუქსემბურგი 18
10. მოლდოვა 18
11. სომხეთი 19
12. ჩრდილოეთ მაკედონია 20
13. ნორვეგია 20
14. რუმინეთი 21
15. სლოვაკეთი 22
16. სლოვენია 23

17. თურქეთი 23
18. უკრაინა 24
19. დანია 25
20. პოლონეთი 25
21. პორტუგალია 26
22. ესპანეთი 27
23. საფრანგეთი 27
24. უნგრეთი 27
25. გაერთიანებული სამეფო 28
გამოყენებული რესურსები 29

აბრევიატურები

RIA	**რეგულირების გავლენის შეფასება**
ECPRD	ევროპის საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრი
აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები
GIRC	მმართველობის გლობალური ინდიკატორები (Global Indicators for Regulatory Governance)
SME	მცირე და საშუალო ბიზნესი

შესავალი

რეგულირების გავლენის შეფასება (RIA) წარმოადგენს ეფექტურ ინსტრუმენტს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების პროცესში. RIA შესაძლებლობას იძლევა, შეფასდეს ყველა ის პოზიტიური თუ ნეგატიური გავლენები რაც შესაძლოა თან ახლდეს როგორც ცალკეული რეგულაციის შემოღებას ასევე უშუალოდ დარგობრივი რეფორმის განხორციელების პროცესს. RIA-ს შედეგები შესაძლებლობას იძლევა გაანალიზდეს საკითხის გადაწყვეტისა და პოლიტიკის მიზნების მიღწევის სხვადასხვა ალტერნატივა და შეირჩეს ყველაზე მისაღები მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალური სარგებლის მიღებას და ამცირეს ადმინისტრაციულ თუ ფინანსურ ტვირთს კერძო და საჯარო სექტორზე.

RIA, როგორც მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის ინსტრუმენტი, პირველად წარმოდგენილი იქნა 1978 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში და ეტაპობრივად გავრცელდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.[2] მსოფლიო ბანკის მმართველობის გლობალური ინდიკატორების (CIRG) მიხედვით, 187 ქვეყნიდან 89 ქვეყანა იყენებს რეგულირების ზეგავლენის შეფასების პრაქტიკას საკანონმდებლო ცვლილებების შედეგების შესაფასებლად. [3]

განხორციელების პერიოდის მიხედვით შეფასება შეიძლება იყოს ორი სახის:

- **წინასწარი ე.წ Ex-Ante RIA**- აღნიშნულ შემთხვევაში, ზეგავლენის შეფასება ხდება წინასწარ, რეგულაციის მიღებამდე ან რეფორმის განხორციელებამდე. Ex-ante შეფასება, შესაძლებლობას იძლევა გადაწყვეტილების მიღებამდე მოხდეს სხვადასხვა ალტერნატივის გაანალიზება და შედარება, და შეირჩეს ყველაზე მისაღები სცენარი, მათ შორის არ ჩარევის ე.წ "Do nothing", საკითხის გადასაწყვეტად.
- **Ex-post RIA**- ამ შემთხვევაში, ხორციელდება უკვე მოქმედი კანონმდებლობის ან/და რეფორმის ზეგავლენის ანალიზი და საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ მოქმედი რეგულაციის შედეგები და შეფასდეს, თუ რამდენად უზრუნველყოფს არსებული რეგულაცია დასახული მიზნების მიღწევას. შედეგების მიხედვით, შესაძლებელია განისაზღვროს ის ცვლილებები, რომელიც უზრუნველყოფს პოლიტიკის უფრო წარმატებით და ეფექტიანად განხორციელებას.

რეგულირების ზეგავლენის შეფასების პრაქტიკა და RIA-ს ინსტიტუციონალიზაციის დონე განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. ზოგიერთ ქვეყანაში RIA-ს განხორციელება დარეგულირებულია საკანონმდებლო დონეზე და განსაზღვრულია კრიტერიუმები, რა შემთხვევაშიც სავალდებულოა საკანონმდებლო ინიციატივაზე რეგულირების ზეგავლენის შეფასების ჩატარება. თუმცა, არსებობს ქვეყნები სადაც RIA-ს განხორციელება ნებაყოფლობითია ან საერთოდ არ ხდება. აღსანიშნავია, რომ ქვეყნების ნაწილი ეტაპობრივად აფართოებენ RIA-ს გამოყენებას კანონშემოქმედებით საქმიანობაში, და თანდათანობით, Ex-ante შეფასებებთან ერთად უფრო და უფრო აქტიურად ახორციელებენ Ex-post RIA-ების მომზადებას.

[2] წყარო: მსოფლიო ბანკი, პუბლიკაცია „Global Indicators of Regulatory Governance: Worldwide Practices of Regulatory Impact Assessments", ხელმისაწვდომია ბმულზე , ბოლოს ნანახია: 19/04/2023

[3] წყარო: მსოფლიო ბანკი, მმართველობის გლობალური ინდიკატორები (CIRG), იხ. ბმული, ბოლოს ნანახია: 19/04/2023

რეგულირების ზეგავლენის შეფასების საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა

რეგულირების ზეგავლენის შეფასების ინსტიტუციონალიზაციის დონე განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. ზოგიერთ ქვეყანაში საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრულია კრიტერიუმები, რა შემთხვევაშიც მარეგულირებელი აქტის მიღებისას სავალდებულო ხდება რეგულაციის გავლენის შეფასების განხორციელება, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში RIA-ს მომზადება ნებაყოფლობითია ან საერთოდ არ ხდება.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ამჟამად მსოფლიოს 187 ქვეყნიდან 89 (47.6%) ქვეყანა იყენებს რეგულირების გავლენის შეფასების პრაქტიკას, საიდანაც 49 ქვეყანაში (55%) შეფასების ანგარიშები თავმოყრილია ერთიან პლატფორმაზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი, ამასთანავე 55 ქვეყანაში (62%) განსაზღვრულია უფლებამოსილი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს განხორციელებული RIA-ს ანგარიშების მონიტორინგსა და შეფასებას.[4] (იხ. გრაფიკი 1)

გრაფიკი 1: ქვეყნების რაოდენობა სადაც დანერგილია RIA-ს პრაქტიკა



წყარო: მსოფლიო ბანკი, Global Indicators for Regulatory Governance (GIRC)

მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით, საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის შედეგად გამოყოფილია ოთხი ძირითადი ფაქტორი რომელიც გავლენას ახდენს RIA-ს წარმატებით განხორციელებაზე, კერძოდ:

- **RIA-ს ფოკუსი და სიღრმე-** რაც უფრო დეტალური და ყოვლისმომცველია შეფასება, მით უფრო მაღალია ანგარიშის სიღრმე და ხარისხი.
- **RIA-ს განხორციელების პროცესთან დაკავშირებული შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტების არსებობა-**შეფასების განხორციელების ერთიანი პრაქტიკის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია რომ საკანონმდებლო დონეზე მკაფიოდ იყოს განსაზღვრული თუ რა ტიპის საკანონმდებლო აქტები ექვემდებარება რეგულირების გავლენის შეფასებას, ასევე მოცემული იყოს RIA-ს განხორციელების ძირითადი პრინციპები და მიდგომები.

[4] წყარო: მსოფლიო ბანკი, Global Indicators for Regulatory Governance (GIRC), იხ.ბმული, ბოლოს ნანახია: 18/04/2023

- **RIA-ს ხარისხობრივი კონტროლი-** მნიშვნელოვანია, განსაზღვრული იყოს საჯარო უწყება, რომელიც უზრუნველყოფს შემუშავებული RIA-ს ანგარიშების ხარისხობრივ კონტროლს
- **RIA-ს შედეგების საჯარო კომუნიკაცია**-აღსანიშნავია, რომ საჯარო კომუნიკაცია და დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს მაღალი ხარისხის შეფასების ანგარიშის მომზადებაში. RIA-ს ხარისხი და RIA-ს განხორციელების კარგი პრაქტიკა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მონაწილეობითია შეფასების პროცესი. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საჯარო კომუნიკაცია მოიცავს არა მხოლოდ უკვე დასრულებული შედეგების საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, არამედ RIA-ს შემუშავების ყველა ეტაპზე დაინტერესებულ მხარეებთან აქტიურ კომუნიკაციას და კონსულტაციებს, რათა შესაძლებელი იქნას ყველაზე მისაღები და ადგილობრივ კონტექსტზე მორგებული გადაწყვეტილების მიღება.

ფიგურა 1: RIA-ს წარმატებით განხორციელებაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: მსოფლიო ბანკი, რეგულირების გავლენის შეფასების საერთაშორისო პრაქტიკა[5]

[5] წყარო: მსოფლიო ბანკი, Global Indicators for Regulatory Governance (GIRC), რეგულირების გავლენის შეფასების საერთაშორისო პრაქტიკა, იხ.ბმული (ბოლოს ნანახია: 20.04.2023)

RIA-ს ფოკუსი და სიღრმე განსხვავდება შეფასების მიზნების, რეგულაციის კონტექსტისა და მასშტაბის, ასევე სხვადასხვა ქვეყანაში RIA-ს განხორციელების მიდგომებისა და პრაქტიკის მიხედვით.

მსოფლიო ბანკის RIA-ს საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ ანგარიშის თანახმად, ყველაზე ხშირად, RIA-ს ანგარიში მოიცავს რეგულაციის მოსალოდნელი ჯამური სარგებლის შეფასებას, საჯარო და კერძო სექტორზე ზეგავლენის ანალიზს, ზოგ შემთხვევაში ანგარიშში ასევე გაანალიზებულია რეგულაციის გავლენა კონკურენციასა და ბაზრის გახსნილობაზეც.[6] შედარებით მცირეა იმ ქვეყნების წილი, რომლებიც RIA-ს განხორციელებისას ცალკე აანალიზებენ SME-სექტორზე ეკონომიკური გავლენებს (საშუალოდ ქვეყნების 59%). თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის გაძლიერება თანდათანობით პრიორიტეტული ხდება, მოსალოდნელია რომ უფრო მეტად გაიზრდება იმ ქვეყნების წილი, რომლებიც RIA-ს მომზადებისას, უფრო დეტალურად შეაფასებენ რეგულაციის მოსალოდნელ ეკონომიკურ შედეგებს SME სექტორისთვის.

RIA-ს ინსტიტუციონალიზაცია

მსოფლიოს 187 ქვეყნიდან, 89 ქვეყანაში დანერგილია RIA-ს განხორციელების პრაქტიკა. აღნიშნული ქვეყნებიდან, 57 ქვეყანაში რეგულაციის გავლენის შეფასების ჩატარების საჭიროება და ვალდებულება განსაზღვრულია კანონმდებლობით, ასევე 45 ქვეყანას საკანონმდებლო დონეზე აქვს განსაზღვრული კრიტერიუმები თუ რა ტიპის საკანონმდებლო აქტი ექვემდებარება შეფასებას, ხოლო 64 ქვეყანას აქვს შემუშავებული სახელმძღვანელო ჩარჩო და გაიდლაინები RIA-ს განსახორციელებლად.

აღსანიშნავია, რომ RIA-ს ინსტიტუციონალიზაციის დონით ძირითადად გამოირჩევა მაღალი და საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების ჯგუფი. მაგალითისთვის, იმ ქვეყნებს შორის, რომლებსაც საკანონმდებლო დონეზე აქვთ განსაზღვრული RIA-ს განხორციელების მოთხოვნა, 79% მაღალი და საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება. ამასთანავე, მაღალი და საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნების ჯგუფის 50%-ს მკაფიოდ აქვს განსაზღვრული თუ რა ტიპის მარეგულირებელი აქტები ექვემდებარება შეფასებას, ხოლო 67%-ს ასევე აქვს შემუშავებული RIA-ს განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპები და სხვადასხვა სახის გაიდლაინები.[7]

გრაფიკი 2: ქვეყნების განაწილება შემოსავლების ჯგუფის მიხედვით, რომელთაც შემუშავებული აქვთ RIA-სთან დაკავშირებული კანონმდებლობა და სხვადასხვა სახის სახელმძღვანელო დოკუმენტები

[6] წყარო: მსოფლიო ბანკი, Global Indicators for Regulatory Governance (GIRC), რეგულირების გავლენის შეფასების საერთაშორისო პრაქტიკა, იხ.ბმული (ბოლოს ნანახია: 20.04.2023)

[7] წყარო: წყარო: მსოფლიო ბანკი, Global Indicators for Regulatory Governance (GIRC), იხ.ბმული, ბოლოს ნანახია: 18.04.2023



წყარო: მსოფლიო ბანკი, Global Indicators for Regulatory Governance (GIRC)

აღსანიშნავია, რომ ქვეყნების უმეტეს ნაწილს (55 ქვეყანას) დანერგილი აქვს RIA-ს ხარისხის კონტროლისა და შემოწმების პრაქტიკა, საიდანაც 80% მაღალი და საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება.

RIA-ს ხარისხის კონტროლზე უფლებამოსილ უწყებებს მეტწილად სამთავრობო ინსტიტუტების ქვეშ შექმნილი ერთეულები ან თავად უშუალოდ აღნიშნული ინსტიტუტები წარმოადგენენ. RIA-ს ხარისხის კონტროლის მიდგომები და პრაქტიკა განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. ძირითადად, მომზადებული ანგარიშების შემოწმება და ხარისხობრივი შეფასდება ხორციელდება საჯარო უწყებებში დასაქმებული პირების მიერ, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ხარისხის კონტროლს ახორციელებს მოწვეული კონსულტანტებისა და ექსპერტების ჯგუფი (ჩეხეთი, გერმანია, გაერთიანებული სამეფო), რომლებსაც აქვთ ცოდნა და პროფესიულ გამოცდილება ეკონომიკის, საჯარო პოლიტიკის, სოციალური პოლიტიკის ან სხვა შესაბამის დარგში.

RIA-ს შედეგების საჯაროობა

აღსანიშნავია, რომ რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს შეფასების შედეგების საჯაროობა. მსოფლიო ბანკის მმართველობის გლობალური ინდიკატორების (GIRC) მონაცემების მიხედვით, ქვეყნები, რომლებშიც დანერგილია RIA-ს მომზადების პრაქტიკა, შედეგების საჯაროობის უზრუნველსაყოფად იყენებენ სხვადასხვა მიდგომებს, მათ შორის[8]:

- შეფასების შედეგებისა და ანგარიშების განთავსება ერთიან პლატფორმაზე
- შეფასების შედეგებისა და ანგარიშების გამოქვეყნება შესაბამისი საჯარო ინსტიტუტის (სამინისტროს, სააგენტოს ან სხვა უწყების) ვებ-გვერდზე
- შეფასების შედეგების გავრცელება საჯარო შეხვედრების ფარგლებში
- შეფასების შედეგების გავრცელება დაინტერესებულ მხარეებს შორის სხვადასხვა მიზნობრივი საკომუნიკაციო არხების გამოყენებით

ზოგიერთი ქვეყანა RIA-ს შედეგების საჯაროობის უზრუნველსაყოფად იყენებს ზემოთ ჩამოთვლილი ინსტრუმენტებიდან ერთ-ერთს ან მათ სხვადასხვა კომბინაციას. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს 89 ქვეყნიდან, რომლებიც ახორციელებენ რეგულირების გავლენის შეფასებებს, უმეტესობა (84.3%) უზრუნველყოფს შეფასების შედეგების საჯარო გავრცელებასა და კომუნიკაციას. საკმაოდ დაბალია იმ ქვეყნების წილი (15.7%), რომლებიც არ უზრუნველყოფენ RIA-ს შედეგების საჯარო კომუნიკაციას.

გრაფიკი 2: RIA-ს განხორციელებისა და შედეგების საჯარო გავრცელების პრაქტიკა ქვეყნების ეკონომიკური ჯგუფების მიხედვით



წყარო: მსოფლიო ბანკი, Global Indicators for Regulatory Governance (GIRC)

[8] წყარო: მსოფლიო ბანკი, Global Indicators for Regulatory Governance (GIRC), იხ.ბმული, ბოლოს ნანახია: 18/04/2023

ევროპარლამენტის გამოცდილება

რეგულირების გავლენის შეფასება ტარდება როგორც საკანონმდებლო, ასევე არასაკანონმდებლო ინიციატივებზე, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მასშტაბური და მნიშვნელოვანი სოციალური, ეკონომიკური, გარემოზე ზემოქმედება. უკეთესი რეგულირების შესახებ ინსტიტუციური შეთანხმება (Institutional agreement on Better Lwa-making)[9], განსაზღვრავს ევროკომისიის ვალდებულებებს, ასევე ევროსაბჭოსა და ევროპარლამენტის როლს RIA-ს განხორციელების პროცესში.

რეგულირების გავლენის შეფასების განხორციელება სავალდებულო არ არის თუ რეგულაციას აქვს უმნიშვნელო გავლენა, ან არ არსებობს სხვა ალტერნატიული გზა საკითხის გადასაწყვეტად.

ევროკომისიის შემთხვევაში, RIA ტარდება გენერალური დირექტორატის მიერ, ხოლო ევროპარლამენტის შემთხვევაში შეფასებას ამზადებს პარლამენტის კვლევითი სამსახური, კერძოს EX-Ante შეფასების განყოფილება. შეფასება შეიძლება განხორციელდეს როგორც შიდა რესურსით, ასევე გარე ექსპერტების ჩართულობითაც.

RIA-ს განხორციელების პროცესში ჩართული პირების სერტიფიცირება სავალდებულო არ არის. შეფასების განმახორციელებელი პირების კომპეტენციები განსხვავდება შეფასების შინაარსის მიხევდით, თუმცა ძირითადი მოთხოვნები არის მიკრო და მაკროეკონომიკური, სოციალური ან გარემოსდაცვითი პოლიტიკის საკითხების ცოდნა, Ex-Ante და Ex-Post შეფასების პროცესისა და პროცედურული საკითხების ცოდნა და გამოცდილება.[10]

RIA-ს ხარისხის კონტროლი და შემოწმება სავალდებულოა. ევროკომისიის შემთხვევაში, ხარისხის შემოწმებას ახორციელებს ევროკომისიის რეგულაციის კონტროლის საბჭო (regulatory scrutinity board), რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელ ზედამხედველ ორგანოს. ამასთანავე, ევროპარლამენტისთვის წარდგენილი ინიციატივებისა და მათი თანმხლები RIA-ს ანგარიშების ხარისხობრივ ანალიზს და კონტროლს ახორციელებს პარლამენტის Ex-Ante შეფასების სამმართველო (Ex-ante Impact Assessment Unit), რომელიც მომზადებულ მოსაზრებებს და დასკვნას გადასცემს შესაბამის კომიტეტს.

[9] შენიშვნა: დოკუმენტი ხელმისაწვდომია ბმულზე, ბოლოს ნანახია: 25/04/2024

[10] წყარო: საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრი (ECPRD), #5410 შეკითხვის პასუხი, ევროპარლამენტი, პასუხი მიღებულია:24/04/2023.

ევროპის ქვეყნების გამოცდილება

1. ალბანეთი

ალბანეთში რეგულირების გავლენის შეფასების განხორციელება სავალდებულოა ყველა სახის კანონპროექტისთვის. RIA-ს განხორციელებას უზრუნველყოფენ შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტები (სამინისტროები და სხვა სამთავრობო უწყებები), ხოლო შეფასებას ახორციელებენ შესაბამის უწყებებში დასაქმებული საჯარო მოხელეები.[11]

RIA-ს ანგარიშში ძირითადად ასახულია შემდეგი სახის გავლენები:[12]

- ფისკალური გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტზე
- ეკონომიკური, სოციალური და გარემოზე ზეგავლენა
- SME სექტორზე ზეგავლენა (SME Impact Test)
- ადმინისტრაციული ხარჯის შეფასება

RIA-ს შედეგების ხარისხის კონტროლი და შეფასება სავალდებულოა და ხორციელდება ცენტრალური სამთავრობო უწყების მიერ. ამასთანავე, განსაზღვრულია სპეციალური მეთოდოლოგიური ჩარჩო, რომლის საფუძველზეც ხდება RIA-ს ხარისხის შემოწმება და კონტროლი[13].

RIA-ს განხორციელებაში ჩართული კონსულტანტებისა და ექსპერტების სერტიფიცირება სავალდებულო არ არის, თუმცა მთავრობის მიერ წახალისებულია იმ საჯარო მოხელეთა გადამზადება, რომლებიც ჩართულნი არიან კანონშემოქმედებით პროცესში. RIA-ს თემატიკაზე ტრენინგების ორგანიზება ხდება როგორც სამთავრობო ინსტიტუტების, ასევე კერძო სექტორის მიერ და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული საჯარო მოხელისთვის.[14]

2. ბელგია

ბელგიაში RIA-ს განხორციელება სავალდებულოა მთავრობის მიერ ინიცირებულ კანონპროექტებზე, მანამ სანამ აღნიშნული კანონპროექტები გადაეცემა შესაბამის საკანონმდელო ორგანოს განსახილველად.[15] ამასთანავე, განსაზღვრულია გამონაკლისები რა შემთხვევაშიც კანონპროექტი არ საჭიროებს რეგულირების ზეგავლენის ანალიზს. აღნიშნულ გამონაკლისებს მიეკუთვნება:

- სამთავრობო კანონპროექტები, რომელიც ეხება საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების რატიფიცირებას;
- სამთავრობო კანონპროექტები, რომელიც ატარებს წმინდა ფორმალურ ხასიათს;

---

[11] წყარო: საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრი (ECPRD), #5410 შეკითხვის პასუხი, ალბანეთი, პასუხი მიღებულია: 13/04/2023.
[12] წყარო: რეგულირების გავლენის შეფასება დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებში, SIGMA PAPER, #61, 2021 წლის იანვარი, იხ. ბმული, ბოლოს ნანახია: 24/04/2023
[13] წყარო: რეგულირების გავლენის შეფასება დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებში, SIGMA PAPER, #61, 2021 წლის იანვარი, იხ. ბმული, ბოლოს ნანახია: 24/04/2023
[14] წყარო: საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრი (ECPRD), #5410 შეკითხვის პასუხი, ალბანეთი, პასუხი მიღებულია:13/04/2023.
[15] წყარო: საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრი (ECPRD), #5410 შეკითხვის პასუხი, ბელგია, პასუხი მიღებულია:21/04/2023.

- სამთავრობო კანონპროექტები, რომელიც ეხება ეროვნულ უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივ წესრიგს;

მიუხედავად იმისა, რომ RIA-ს ხარისხობრივი შემოწმება და კონტროლი სავალდებულო არ არის, შესაბამისი სამინისტროს მოთხოვნის შემთხვევაში, RIA-ს შედეგები შეიძლება შემოწმდეს შეფასების კომიტეტის მიერ. კომიტეტის შედგება იმ სამინისტროების წარმომადგენლებისგან, რომლებიც ჩართულნი არიან შესაბამისი კანონპროექტის შემუშავებაში. კომიტეტის მიერ მომზადებული დასკვნა და შენიშვნები ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს.

რაც შეეხება კონსულტანტთა სერტიფიცირებას, ქვეყანაში RIA-ს განმახორციელებელი კონსულტანტების/ექსპერტების სერტიფიცირება სავალდებულო არ არის.

3. კანადა

რეგულირების გავლენის შეფასების განხორციელება სავალდებულოა, ხოლო პროცესის ზედამხედველობას უზრუნველყოფს კანადის სახაზინო საბჭოს სამდივნო (Treasury Board of Canada Secretariat-TBS). საბჭო განსაზღვრავს შესაბამის სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლის შესაბამისადაც უნდა მოხდეს რეგულაციის გავლენის შეფასების განხორციელება. რეგულაციის ინიცირების და მომზადების პრინციპები განსაზღვრულია სამდივნოს დირექტივაში რეგულირების შესახებ.[16]

რეგულირების გავლენის შეფასება ხორციელდება შესაბამისი სამთავრობო უწყებების მიერ. შეფასების ანგარიშში განსაზღვრული უნდა იყოს შემდეგი სახის გავლენები:[17]

- გავლენა მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობაზე, ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებასა და გარემოზე
- სახელმწიფოს, ბიზნესისა და ზოგადად მოსახლეობის ხარჯის დაზოგვის პოტენციალი, ასევე ზოგადი გავლენა ქვეყნის ეკონომიკასა და ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობაზე
- სახელმწიფო უწყებებზე ზეგავლენა
- დაინტერესებული მხარეების ანალიზი, მათი ინტერესების, გავლენისა და ჩართულობის შეფასება
- რეგულაციის გავლენების შეჯამება

RIA-ს განხორციელებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი სამთავრობო უწყება ან უწყებები, ხოლო სახაზინო საბჭოს სამდივნო უზრუნველყოფს მომზადებული ანგარიშების ზედამხედველობასა და შემოწმებას.

RIA-ს განხორციელებასა და ხარისხის კონტროლში ჩართული პირების სერტიფიცირება სავალდებულო არ არის, თუმცა სხვადასხვა ინსტიტუციებისა და ორგანიზაციების მიერ ხორციელდება სასწავლო კურსები, რომლის ფარგლებშიც ისწავლება კარგი რეგულირების პრაქტიკის მიდგომები და ინსტრუმენტები.

[16] შენიშვნა: დოკუმენტი ხელმისაწვდომია ბმულზე , ბოლოს ნანახია: 24/04/2023

[17] წყარო: მსოფლიო ბანკი, Global Indicators of Regulatory Governance (GIRC), კანადა, ხელმისაწვდომია ბმულზე, ბოლო ნანახია 24/04/2023

4. ხორვატია

ხორვატიაში, კანონშემოქმედებისა და პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში, გამოიყენება კარგი რეგულირების შემდეგი ინსტრუმენტები :

- რეგულირების გავლენის შეფასება (RIA)
- საჯარო კონსულტაციები
- SME ტესტი

საჯარო კონსულტაციები და SME ტესტი ძირითადად გამოიყენება მეორეული რეგულაციების შემუშავებისას. რაც შეეხება RIA-ს, ხორვატიაში, რეგულირების გავლენის შეფასება სავალდებულოა პირველადი კანონმდებლობისთვის, რომელიც მთავრობის მიერ არის წარდგენილი პარლამენტისთვის. RIA-ს ჩატარება სავალდებულო არ არის პარლამენტის (პოლიტიკური პარტიის ან პარტიების ჯგუფის) მიერ ინიცირებული კანონპროექტებისა და მეორეული კანონმდებლობისთვის.[18] აღნიშნული მოთხოვნები, გაწერილია შესაბამის საკანონმდებლო დოკუმენტებში.

RIA-ს მომზადებაში ძირითადად ჩართულნი არიან შესაბამის სამთავრობო უწყებებში დასაქმებული საჯარო მოხელეები, რაც შეეხება გარე კონსულტაციებს, ე.წ. აუთსორსინგს, აღნიშნული პრაქტიკა საკმაოდ იშვიათად გამოიყენება. არის შემთხვევები, როდესაც ხდება აკადემიური ინსტიტუტების, კვლევითი ცენტრების ჩართვა, საბაზისო მოკვლევის ჩასატარებლად რომელიც საჭიროა კანონპროექტის შემუშავებისთვის.

როგორც RIA, ასევე საჯარო კონსულტაციები და SME ტესტი ექვემდებარება შესაბამის ხარისხობრივ შემოწმებას. RIA-ს შემთხვევაში ხარისხის შემოწმებას ახორციელებს მთავრობის საკანონმდებლო ოფისი (Government Legislative Office), რომელიც ასევე უზრუნველყოფს საჯარო კონსულტაციების ხარისხის კონტროლს. რაც შეეხება SME ტესტს, აღნიშნული ინსტრუმენტის ხარისხობრივ კონტროლს უზრუნველყოფს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ამასთანავე, შემუშავებულია შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპები, რომლის შესაბამისადაც უნდა მოხდეს შეფასების მომზადება.

აღსანიშნავია, რომ RIA-ს განხორციელებასა და ხარისხის კონტროლში ჩართული პირების სერტიფიცირება სავალდებულო არ არის. თუმცა ხორციელდება სხვადასხვა სახის ტრენინგები და სასწავლო კურსები, საჯარო მოხელეთა უნარების გასაძლიერებლად RIA-ს, საჯარო კონსულტაციების და ზოგადად კანონშემოქმედებითი საქმიანობის მიმართულებით. კურსებს ახორციელებს მთავრობის საკანონმდებლო ოფისი, ხოლო სასწავლო ღონისძიებების ორგანიზებასა და ლოჯისტიკაზე პასუხისმგებელია საჯარო ადმინისტრირების სახელმწიფო სკოლა.[19]

[18] წყარო: საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრი (ECPRD), #5410 შეკითხვის პასუხი, ხორვატია, პასუხი მიღებულია:12/04/2023.

[19] წყარო: საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრი (ECPRD), #5410 შეკითხვის პასუხი, ხორვატია, პასუხი მიღებულია:12/04/2023.

5. ჩეხეთის რესპუბლიკა

ჩეხეთში, RIA-ს განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მთავრობა, მთავრობის საკანონმდებლო საბჭოს სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციების საფუძველზე. შესაბამისად, RIA-ს მომზადება სავალდებულო არ არის. შესაძლოა, საკანონმდებლო ინიციატივაზე შეფასების განხორციელებასთან დაკავშირებით წინადადება წარმოადგინოს შესაბამისმა სამინისტრომაც, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას სიღრმისეული შეფასების განხორციელებასთან დაკავშირებით იღებს მთავრობა.

RIA-ს ამზადებს შესაბამისი კანონპროექტის ინიციატორი სამინისტრო, აუთსორსინგი და გარე საკონსულტაციო მომსახურების მიღება შეფასების განხორციელებისას იშვიათ პრაქტიკას წარმოადგენს.

შეფასების პროცესში ჩართულნი არიან შესაბამისი სამინისტროს საჯარო მოხელეები, რომელთა სერტიფიცირებაც სავალდებულო არ არის. RIA-ს ხარისხობრივი შემოწმება კი ხორციელდება მთავრობის საკანონმდებლო საბჭოს სამუშაო ჯგუფის მიერ. სამუშაო ჯგუფი შედგება დამოუკიდებელი ექსპერტებისა და კონსულტანტებისგან (ძირითადად ეკონომისტებისგან), რომლებიც არ წარმოადგენენ საჯარო მოხელეებს.[20]

6. ესტონეთი

ესტონეთში კანონპროექტის პირველადი შეფასება სავალდებულოა, ხოლო კანონპროექტის ზეგავლენის უფრო დეტალური და სიღრმისეული ანალიზი ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ რეგულაციის მიღება გამოიწვევს მნიშვნელოვან სოციალურ, ეკონომიკური ან სხვა სახის გავლენებს. RIA-ს შედეგები წარმოადგენს კანონპროექტის განმარტებითი ბარათის განუყოფელ ნაწილს. აღსანიშნავია, რომ 2012 წლიდან, გარკვეული სახის მარეგულირებელ აქტებზე სავალდებულოა ასევე Ex-post RIA-ების განხორციელება. Ex-post შეფასება ხორციელდება კანონპროექტის მიღებიდან 3-5 წლის შემდეგ.[21]

შეფასება ხორციელდება უშუალოდ კანონპროექტის ინიციატორი უწყების მიერ, რომელიც სრულად არის პასუხისმგებელი RIA-ს ხარისხზე. საჭიროებისამებრ, სამინიტრო ან RIA-ს განმახორციელებელი შესაბამისი უწყება უფლებამოსილია შეფასების მომზადებისას მოიწვიოს ექსპერტები და დამოუკიდებელი კონსულტანტები, თუმცა აუთსორსინგის პრაქტიკა იშვიათია და ძირითადად გამოიყენება მაშინ, როდესაც საჭიროა სიღრმისეული და დეტალური შეფასების მომზადება. აუთსორსინგის შემთხვევაში, შესაბამისი სამინისტრო ვალდებულია გამოაცხადოს საჯარო ტენდერი, რომლის ფარგლებშიც ხდება შესაბამისი კანდიდატის შერჩევა.[22]

აღსანიშნავია, რომ RIA-ს განხორციელებაში ჩართული ექსპერტებისა და კონსულტანტების სერტიფიცირება სავალდებულო არ არის. რაც შეეხება გარე ექსპერტების საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, აღნიშნული მოთხოვნები განისაზღვრება საჯარო ტენდერის ფარგლებში და დამოკიდებულია შესაფასებელი რეგულაციის შინაარსზე.

---

[20] წყარო: საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრი (ECPRD), #5410 შეკითხვის პასუხი, ჩეხეთის რესპუბლიკა, პასუხი მიღებულია: 20/04/2023

[21] წყარო: OECD Regulatory Outllook, 2021, იხ.ბმული, ბოლოს ნანახია: 24/04/2023

[22] წყარო: საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრი (ECPRD), #5410 შეკითხვის პასუხი, ესტონეთი, პასუხი მიღებულია: 10/04/2023

RIA-ს ხარისხის კონტროლი სავალდებულოა და ხორციელდება იუსტიციის სამინისტროს საკანონმდებლო ხარისხის უზრუნველყოფის სამმართველოს მიერ.

7. გერმანია

გერმანიაში სავალდებულოა შეფასების განხორციელება ყველა სახის საკანონმდებლო ინიციატივაზე, თუმცა შეფასების ფოკუსი და სიღრმე დამოკიდებულია კანონპროექტის შინაარსსა და მოსალოდნელი გავლენების მასშტაბზე.[23] ფედერალურ დონეზე, RIA-ს განხორციელებაზე პასუხისმგებელია ფედერალური მთავრობა. შესაბამისად, შეფასება ხორციელდება კანონპროექტის ინიციატორი სამინისტროსა და შესაბამისი საჯარო მოხელეების მიერ.

RIA-ს განხორციელებისა და ხარისხის კონტროლის პროცესში ჩართული პირების სერტიფიცირება სავალდებულო არ არის.[24]

RIA-ს ხარისხის კონტროლი კანონმდებლობით სავალდებულო არ არის, თუმცა RIA-ს გარკვეული ასპექტების კონტროლს (მაგ. მოსალოდნელი ხარჯების შეფასება ბიზნესის, სახელმწიფოსა და მოქალაქეებისთვის) ახორციელებს ეროვნული საკანონმდებლო კონტროლის საბჭო (National Regulatory Control Council), რომელიც შედგება 10 წევრისგან, რომლებიც უნდა წარმოადგენდნენ ექსპერტებს ეკონომიკის ან იურიდიული განხრით. საბჭოს წევრებს ფედერალური მთავრობის წარდგინებით ნიშნავს პრეზიდენტი.

ამასთანავე, პარლამენტს, საჭიროებისამებრ შეუძლიათ გამოიყენონ კომიტეტების და სხვადასხვა უწყებების რესურსი RIA-ს გარკვეული შინაარსობრივი ასპექტის ხარისხის შემოწმებისა და კონტროლისთვის.

8. ლატვია

ლატვიაში რეგულაციის გავლენის პირველადი შეფასება სავალდებულოა და რეგულირდება #617 რეგულაციით „კანონპროექტის პირველადი შეფასების პროცედურების შესახებ“.[25] უფრო სიღრმისეული და დეტალური შეფასება, ხორციელდება იმ კანონპროექტებზე რომლის მიღებაც გამოიწვევს მნიშვნელოვან სოციალურ, ეკონომიკური ან სხვა სახის ზეგავლენას.[26] პირველადი შეფასების შედეგები ასახულია შესაბამისი კანონპროექტის განმარტებით ბარათში.

ეროვნულ კანონმდებლობაზე განხორციელებული შეფასებების ზოგად ხარისხობრივ კონტროლსა და კოორდინირების უფლებამოსილება განაწილებულია იუსტიციის სამინისტროსა და სახელმწიფო კანცელარიას შორის. იუსტიციის სამინისტრო აკონტროლებს მომზადებული კანონპროექტების შესაბამისობას შიდა და საერთაშორისო ნორმატიულ აქტებთან, ხოლო სახელმწიფო კანცელარიის საკანონმდებლო ხარისხის

[23] წყარო:მსოფლიო ბანკი, Global Indicators for Regulatory Governance (GIRC), იხ. ბმული, ბოლოს ნანახია: 24/04/2023

[24] წყარო: საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრი (ECPRD), #5410 შეკითხვის პასუხი, გერმანია, პასუხი მიღებულია: 20/04/2023

[25] შენიშვნა: დოკუმენტი ხელმისაწვდომია მხოლოდ სახელმწიფო ენაზე, იხ. ბმული

[26] წყარო:მსოფლიო ბანკი, Global Indicators for Regulatory Governance (GIRC), იხ. ბმული, ბოლოს ნანახია: 24/04/2023

უზრუნველყოფის სამმართველო, რომელიც ძირითადად აფასებს თუ რამდენად სწორად და სრულად არის გაანალიზებული კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები და დაკავშირებული ხარჯები, ასევე აკონტროლებს შეფასების პროცესის შესაბამისობას არსებულ წესებთან და პროცედურებთან, მათ შორის თუ რამდენად სრულყოფილად და ხარისხიანად იქნა განხორციელებული შეფასების პროცესში სავალდებულო საჯარო კონსულტაციები.[27] ამასთანავე, კანონპროექტის განმარტებით ბარათში წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისობას აკონტროლებენ სხვადასხვა დარგობრივი სამინისტროები კომპეტენციების შესაბამისად, მაგ. ეკონომიკის სამინისტრო აფასებს თუ რამდენად სრულად და ზუსტად არის ასახული კანონპროექტის ზეგავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე, ფინანსთა სამინისტროს ამოწმებს თუ რამდენად შესაბამისად არის ასახული ბიუჯეტზე ზეგავლენის ნაწილი, და ა.შ. [28]

9. ლუქსემბურგი

ლუქსემბურგის შემთხვევაში, კანონპროექტის გავლენების სიღრმისეული ანალიზი სავალდებულო არ არის, თუმცა 1999 წლის რეგულაციის „ბიუჯეტის, აღრიცხვისა და ხაზინის შესახებ“ 79-ე მუხლით მოთხოვნილია განხორციელდეს იმ ნორმატიული აქტების შეფასება, რომლის მიღებაც გავლენას ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ან ხარჯვით ნაწილზე. აღნიშნულ შემთხვევაში, ძირითადად ფასდება თუ როგორ იმოქმედებს შესაბამისი რეგულაციის მიღება საბიუჯეტო შემოსავლებზე ან/და ხარჯებზე.

შეფასების ხარისხის კონტროლი სავალდებულო არ არის. ასევე არ არის მოთხოვნილი იმ პირების სერტიფიცირება რომლებიც ჩართულნი არიან რეგულაციის ზეგავლენის შეფასების პროცესში.[29]

10. მოლდოვა

რეგულირების გავლენის შეფასება სავალდებულოა იმ ნორმატიულ აქტებზე რომელიც ეხება და არეგულირებს სამეწარმეო საქმიანობას. შეფასება ხორციელდება შესაბამის სამთავრობო უწყებებში დასაქმებული საჯარო მოხელეების მიერ, აუთსორსინგი არ გამოიყენება.[30] შეფასების ხარისხის კონტროლზე პასუხისმგებელია სამთავრობო უწყება, კერძოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულირების სახელმწიფო კომისია (State Commissions for Regulation of Entrepreneurial Activity), რომელიც უზრუნველყოფს სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ჩარჩოს განვითარების ოპტიმიზაციას.[31] შეფასების პროცესში ჩართული საჯარო მოხელეების სერტიფიცირება სავალდებულო არ არის, თუმცა წახალისებულია მათი მონაწილეობა სახელმწიფო და კერძო სექტორის მიერ მომზადებულ

[27] წყარო: OECD Regulatory Policy Outlook 2021, ლატვია, იხ. ბმული, ბოლოს ნანახია: 24/04/2023
[28] წყარო: წყარო: საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრი (ECPRD), #5410 შეკითხვის პასუხი, ლატვია, პასუხი მიღებულია: 14/04/2023
[29] წყარო: წყარო: საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრი (ECPRD), #5410 შეკითხვის პასუხი, ლუქსემბურგი, პასუხი მიღებულია: 06/04/2023
[30] წყარო:საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრი (ECPRD), #5410 შეკითხვის პასუხი, მოლდოვა, პასუხი მიღებულია: 21/04/2023
[31] წყარო:მსოფლიო ბანკი, Global Indicators for Regulatory Governance (GIRC), მოლდოვა, იხ.ბმული, ბოლოს ნანახია: 25.04.2023

სასწავლო კურსებსა და ტრენინგ-პროგრამებში, რომლებიც ფარავენ რეგულირების გავლენის შეფასების პროცესის ძირითადად ასპექტებს.[32]

11. სომხეთი

რეგულირების გავლენის შეფასებას ექვემდებარება ის ნორმატიული აქტები, რომელთაც შესაძლოა ჰქონდეთ მნიშვნელოვანი სოციალური, ეკონომიკური თუ სხვა სახის გავლენა სექტორზე ან მთლიანად ეკონომიკაზე. გადაწყვეტილებას, თუ რომელი ნორმატიული აქტი ექვემდებარება RIA-ს იღებს მთავრობა. ძირითადად, შეფასება მოიცავს შემდეგი სახის გავლენების ანალიზს:[33]

- გავლენა ბიზნეს გარემოსა და კონკურენციაზე
- გავლენა საჯარო ფინანსებზე
- სოციალური ზეგავლენა
- ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გავლენები
- გარემოზე ზეგავლენა

RIA ხორციელდება სამთავრობო უწყებების მიერ და ასევე, განსაზღვრულია სამინისტროები, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის შესაბამისად უზრუნველყოფენ სხვადასხვა სახის გავლენების ანალიზს. მაგალითისთვის, კანონპროექტის ზეგავლენა ბიზნეს გარემოსა და კონკურენციაზე ფასდება ეკონომიკის სამინისტროსა და კონკურენციის დაცვის სახელმწიფო კომისიის ერთობლივი თანამშრომლობით, საჯარო ფინანსებზე ზეგავლენა ფასდება ფინანსთა სამინისტროს მიერ, ხოლო სოციალური გავლენების შეფასება ხორციელდება შრომისა და სოციალური საკითხების სამინისტროს მიერ. საჭიროებისამებრ, სამინისტროები უფლებამოსილნი არიან მოიწვიონ დამოუკიდებელი ექსპერტები შეფასების განსახორციელებლად.

კანონმდებლობით განსაზღვრულია გამონაკლისები, რა შემთხვევაშიც არ არის საჭირო RIA-ს ჩატარება. აღნიშნული გამონაკლისები მოიცავს:[34]

- როდესაც ხდება ტექნიკური ხასიათის ცვლილებების შეტანა, რომელიც არ ცვლის ნორმატიული აქტის შინაარსს
- სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული ნორმატიულ აქტებსა და გადაწყვეტილებებზე
- თუ არ არსებობს სხვა ალტერნატივა საკითხის გადასაწყვეტად გარდა კანონპროექტში განსაზღვრულისა RIA-ს ჩატარება სავალდებულო არ არის
- როდესაც რეგულაციის მიიღება მოსახლეობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით საგანგებო სიტუაციით გამოწვეულ გარემოებებზე საპასუხოდ ან საგანგებო სიტუაციის გამო შექმნილი რისკების აღმოსაფხვრელად
- იმ რეგულაციებზე, რომლებიც ნორმატიული აქტების შესახებ კანონით არ ექვემდებარებიან სავალდებულო შეფასებას

კანონმდებლობით განსაზღვრულია ორი სახის RIA: (1) გამარტივებული და (2) სიღრმისეული ანალიზი. მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულია ხარისხის

[32]წყარო:საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრი (ECPRD), #5410 შეკითხვის პასუხი, მოლდოვა, პასუხი მიღებულია: 21/04/2023

[33] წყარო:საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრი (ECPRD), #5410 შეკითხვის პასუხი, სომხეთი, პასუხი მიღებულია: 25/04/2023

[34] წყარო:საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრი (ECPRD), #5410 შეკითხვის პასუხი, სომხეთი, პასუხი მიღებულია: 25/04/2023

კონტროლის პროცედურები და კრიტერიუმები, როგორც გამარტივებული, ასევე სიღრმისეული შეფასებისთვის. მომზადებული RIA-ს ანგარიშები იგზავნება პრემიერ მინისტრის ოფისში, რომელიც უზრუნველყოფს მომზადებული შეფასებების ხარისხის კონტროლს.

RIA-ს განხორციელების პროცესში ჩართული პირების სერტიფიცირება სავალდებულო არ არის, თუმცა კანონმდებლობით მომზადებულია მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები, სადაც განსაზღვრულია ის ძირითადი ჩარჩო პრინციპები და კრიტერიუმები, რომლის შესაბამისადაც უნდა მოხდეს რეგულირების ზეგავლენის შეფასება.

12. ჩრდილოეთ მაკედონია

RIA-ს განხორციელება სავალდებულოა ყველა სახის ნორმატიულ აქტზე, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა. კერძოდ, RIA-ს განხორციელება სავალდებულო არ არის თუ:

- ნორმატიული აქტი მიიღება გადაუდებელი აუცილებლობისას დაჩქარებული წესით
- დაკავშირებულია საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების რატიფიცირებასთან
- თუ ხდება მხოლოდ ტერმინოლოგიის ცვლილება და არ იცვლება რეგულაციის ძირითადი შინაარსი
- სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონზე

შეფასება ხორციელდება შესაბამის სამთავრობო უწყებებში დასაქმებული საჯარო მოხელეების მიერ. RIA-ს ხარისხის კონტროლს ახორციელებს ინფორმაციული საზოგადოებისა და ადმინისტრაციის სამინისტრო (Ministry of Information Society and Administration).

RIA-ს მომზადებაში ჩართული პირების სერტიფიცირება სავალდებულო არ არის, თუმცა სამთავრობო უწყებების (ძირითადად ინფორმაციული საზოგადოებისა და ადმინისტრაციის სამინისტროს) და ასევე სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ ტარდება ტრენინგები RIA-ს საკითხებზე. ტრენინგები მეტწილად უფასოა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.[35]

13. ნორვეგია

კანონმდებლობით სავალდებულოა რომ ყველა სახის მარეგულირებელ აქტს თან ახლდეს იმ პოზიტიური თუ ნეგატიური გავლენების შეფასება, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნული ნორმატიული აქტის მიღებასთან. იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელი გავლენების მასშტაბი საკმაოდ დიდია, საჭიროა უფრო დეტალური და სიღრმისეული ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის ჩატარება.[36]

[35] წყარო: საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრი (ECPRD), #5410 შეკითხვის პასუხი, მაკედონია, პასუხი მიღებულია: 13/04/2023

[36] წყარო: მსოფლიო ბანკი, Global Indicators for Regulatory Governance (GIRC), ნორვეგია იხ. ბმული, ბოლოს ნანახია: 24.04.2023

შეფასება ხორციელდება სამთავრობო უწყებებში დასაქმებული საჯარო მოხელეების მიერ. RIA-ს განხორციელების პროცესში ჩართული პირების სერტიფიცირება სავალდებულო არ არის.[37]

რაც შეეხება ხარისხის კონტროლს, მთავრობის მიერ მომზადებულია ინსტრუქციები და სახელმძღვანელო პრინციპები რომელთანაც თანხვედრაში უნდა იყოს შეფასების ანგარიშები. ნორვეგიის კარგი რეგულირების საბჭო (Better regulation council) ახორციელებს საკანონმდებლო ინიციატივების შეფასებას და განსაზღვრავს თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ბიზნეს გარემოზე შესაბამისი ნორმატიულ აქტის მიღებას. ასევე, საბჭო აფასებს სხვადასხვა უწყებების მიერ მომზადებულ შეფასების ანგარიშებსაც.[38]

ამასთანავე, პროექტები, რომელთა განხორციელებაც მოითხოვს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 750 მილიონ ნორვეგიულ კრონზე მაღალი ხარჯის გაწევას, ექვემდებარება ხარისხობრივ შემოწმებას, ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული ინსტრუქციების შესაბამისად.[39]

14. რუმინეთი

რუმინეთში, ეტაპობრივად მიმდინარეობს RIA-ს, როგორც კარგი რეგულირების პრაქტიკის ინსტრუმენტის ინსტიტუციონალიზაციის პროცესი. 2015 წლიდან, ეტაპობრივად ხორციელდებოდა საკანომდებლო ჩარჩოსა და ინსტრუმენტების განვითარება მტკიცებულებებზე დაფუძნებული კანონშემოქმედებითი პროცესის დასანერგად.

მოქმედი რეგულაციებით, თითოეულ საკანონმდებლო ცვლილებას და ინიციატივას თან უნდა ახლდეს განმარტებითი ბარათი სადაც მკაფიოდ იქნება დასაბუთებული შემოთავაზებული ცვლილებების საჭიროება და აუცილებლობა. ამასთანავე, მთავრობის დადგენილებით სავალდებულოა რომ წარმოდგენილ საკანონმდებლო ინიციატივას თან ახლდეს მოსალოდნელი ადმინისტრაციული ხარჯების შეფასება.

მცირე და საშუალო ბიზნესზე საკანონმდებლო ცვლილებებით გამოწვეული გავლენის შესაფასებლად, სამინისტროები ვალდებულნი არიან გამოიყენონ SME ტესტის ინსტრუმენტი, რომელიც უშუალოდ ზომავს რეგულაციის ეკონომიკური გავლენას SME სექტორზე. მოქმედი რეგულაციებით, SME სექტორზე ეკონომიკური გავლენების ანალიზი სავალდებულოა რომ მკაფიოდ ჩანდეს ნორმატიული აქტის განმარტებით ბარათში.[40]

ამ ეტაპზე, სიღრმისეული RIA ხორციელდება ზოგიერთ სამინისტროსა და სამთავრობო უწყებების მიერ. მოქმედი კანონმდებლობით, შეფასების განხორციელებაში ჩართული პირების სერტიფიცირება სავალდებულო არ არის. [41]მიუხედავად იმისა, რომ RIA-ს ხარისხის უზრუნველყოფისა და კარგი რეგულირების პრაქტიკის დასამკვიდრებლად ქვეყანამ მიიღო

[37] წყარო:საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრი (ECPRD), #5410 შეკითხვის პასუხი, ნორვეგია, პასუხი მიღებულია: 17/04/2023

[38] წყარო:მსოფლიო ბანკი, Global Indicators for Regulatory Governance (GIRC), ნორვეგია იხ. ბმული, ბოლოს ნანახია: 24/04./023

[39] წყარო:საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრი (ECPRD), #5410 შეკითხვის პასუხი, ნორვეგია, პასუხი მიღებულია: 17/04/2023

[40] წყარო: მსოფლიო ბანკი, Reimbursable Advisory Services Agreement on Regulatory Impact Assessment (RIA) III: Strengthening the Capacity of the Romanian Administration to Carry Out Impact Studies for Better Regulations - P16790, First Annual Report, October 2020, იხ. ბმული, ბოლოს ნანახია: 25/04/2023

[41] წყარო:საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრი (ECPRD), #5410 შეკითხვის პასუხი, რუმინეთი, პასუხი მიღებულია:17/04/2023

რეკომენდაცია განესაზღვრა უწყება, რომელიც უზრუნველყოფდა მომზადებული შეფასების ანგარიშების ხარისხის კონტროლს, ამ ეტაპზე ასეთი უწყება ჩამოყალიბებული არ არის. [42]

15. სლოვაკეთი

კარგი რეგულირების პრაქტიკის დამკვიდრება სლოვაკეთში 2007 წლიდან დაიწყო, როდესაც შემუშავებული და დამტკიცებული იქნა კარგი რეგულირების პრაქტიკის სამთავრობო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. 2010 წელს მთავრობის No. 122/2010 რეზოლუციით დამტკიცდა მოთხოვნები, რომლის თანახმადაც პირველადი კანონმდებლობა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები დაექვემდებარა რეგულირების გავლენის სავალდებულო შეფასებას. ძირითადად, შეფასების ფოკუსს წარმოადგენდა საჯარო უწყებების ადმინისტრაციულ ხარჯების, ბიზნეს გარემოზე ზეგავლენის , სოციალურ და გარემოსდაცვითი ასპექტების შეფასება.[43]

2018 წელს მთავრობის No. 32/2018 რეზოლუციით დამტკიცდა სტრატეგია RIA 2020: კარგი რეგულირების სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრა შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:[44]

- კარგი რეგულირების პრაქტიკის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება
- EX-Ante RIA-ს პროცესის ხარისხის გაუმჯობესება
- სისტემური EX-Post RIA-ების განხორციელების პრაქტიკის დამკვიდრება
- ინოვაციური მიდგომების დანერგვა კანონშემოქმდებითობის პროცესში
- კარგი რეგულირების პრაქტიკის დასამკვიდრებლად შესაბამისი გარემო პირობების უზრუნველყოფა

ძირითადად შეფასების განხორციელება სავალდებულოა ისეთ რეგულაციებზე, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტთან ან გავლენას ახდენს კერძო სექტორის საქმიანობაზე. სლოვაკეთის ეკონომიკის სამინისტრო წარმოადგენს უფლებამოსილ უწყებას, რომელიც კოორდინაციას უწევს კარგი რეგულირების პრაქტიკის დამკვიდრების პროცესს.

ამ ეტაპზე, შემუშავებულია შეფასების ერთიანი მეთოდოლოგია, სადაც განსაზღვრულია ის ჩარჩო პრინციპები და მიდგომები, რომლის შესაბამისადაც უნდა განხორციელდეს რეგულირების ზეგავლენის ანალიზი. ამ ეტაპზე შეფასება ხორციელდება სამთავრობო უწყებებსა და ინსტიტუტებში დასაქმებული საჯარო მოხელეების მიერ, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში ხდება გარე კონსულტანტების მოწვევა, რომლებიც ერთვებიან შეფასების მეთოდოლოგიისა და შეფასების მიდგომების განსაზღვრის პროცესში. RIA-ს განხორციელების პროცესში ჩართული პირების სერტიფიცირება სავალდებულო არ არის. [45]

RIA-ს ხარისხის კონტროლი სავალდებულოა და ხორციელდება RIA-ს კომისიის მიერ, რომელიც შედგება სამინისტროების წარმომადგენლებისგან.

---

[42] წყარო: მსოფლიო ბანკი, Reimbursable Advisory Services Agreement on Regulatory Impact Assessment (RIA) III: Strengthening the Capacity of the Romanian Administration to Carry Out Impact Studies for Better Regulations - P16790, First Annual Report, October 2020, იხ. ბმული, ბოლოს ნანახია: 25/04/2023

[43] წყარო: OECD, Regulatory Policy in Slovak Republik: Towards future-Proof Regulation, იხ. ბმული, ბოლოს ნანახია: 25./04/2023

[44] წყარო: სლოვაკეთის ეკონომიკის სამინისტრო, იხ. ბმული, ბოლოს ნანახია: 25/04/2023

[45] წყარო:საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრი (ECPRD), #5410 შეკითხვის პასუხი, სლოვაკეთი, პასუხი მიღებულია:24/04/2023

16. სლოვენია

ამჟამად, ქვეყანაში RIA-ს განხორციელება სავალდებულოა პირველადი კანონმდებლობისა და ზოგიერთი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტისთვის. თუმცა, ქვეყანა ეტაპობრივად ცდილობს გააფართოვოს RIA-ს ინსტრუმენტის გამოყენების პრაქტიკა და აქტიურად გამოიყენოს ე.წ Ex-post შეფასებები, რათა შეამციროს კერძო სექტორზე რეგულაციით გამოწვეული ადმინისტრაციული ტვირთი.[46]

ამ ეტაპზე, საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრის (ECPRD) პლატფორმიდან მიღებული პასუხების მიხედვით, RIA-ს ახორციელებს სლოვენიის რესპუბლიკის აუდიტის ოფისი, რომელიც უფლებამოსილია სახელმწიფო ბიუჯეტის ზედამხედველობაზე.[47] თუმცა, OECD-ს 2021 წლის ანგარიშის მიხედვით, RIA-ს განხორციელების ზედამხედველობაზე უფლებამოსილ უწყებად ასევე განსაზღვრულია საჯარო ადმინისტრირების სამინისტრო (MPA) და ეკონომიკური განვითარებისა და ტექნოლოგიების სამინისტრო.[48] RIA-ს ხარისხის კონტროლი ასევე სავალდებულოა და ხორციელდება სამთავრობო უწყებების მიერ.

რაც შეეხება სერტიფიცირების პრაქტიკას, გამომდინარე იქიდან რომ RIA-ს ახორციელებს აუდიტის ოფისი, შესაბამისად აღნიშნული ოფისის თანამშრომლები წარმოადგენენ სერტიფიცირებულ აუდიტორებს, რომელთა სერტიფიცირებაც ხდება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და პრინციპების შესაბამისად (INTOSAI).[49]

17. თურქეთი

RIA-ს განხორციელება სავალდებულოა თითქმის ყველა სახის ნორმატიულ აქტზე, მათ შორის პრეზიდენტის ბრძანებულებებზე, სამინისტროებისა და სხვა საჯარო ინსტიტუციების მიერ წარდგენილ საკანონმდებლო ინიციატივებზე. ამასთანავე, განსაზღვრულია გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც რეგულირების ზეგავლენის ანალიზის განხორციელება სავალდებულო არ არის. ძირითადად გამონაკლისები ეხება ნორმატიულ აქტებს, რომელიც მიღებულია დაჩქარებული წესით საგანგებო სიტუაციის ან გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონს, ნორმატიულ აქტებს რომელიც მიიღება საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების რატიფიცირებისთვის.

RIA მზადდება შესაბამისი საჯარო უწყებების მიერ და წარმოადგენს თანამშრომლობით პროცესს. რეგულაციის კონტექსტიდან გამომდინარე, შესაძლებელია შეფასების პროცესში ჩართული იყოს რამდენიმე უწყება. RIA-ს განხორციელებაში ჩართული პირების სერტიფიცირება სავალდებულო არ არის. მომზადებული ანგარიშების ხარისხის კონტროლი ხორციელდება რეგულაციის გავლენის შეფასების დეპარტამენტის მიერ. [50]

---

[46] წყარო: OECD Regulatory policy outlook, 2021, იხ. ბმული, ბოლოს ნანახია: 25/04.2023

[47] წყარო: საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრი (ECPRD), #5410 შეკითხვის პასუხი, სლოვაკეთი, პასუხი მიღებულია:14/04/2023

[48] წყარო: წყარო: OECD Regulatory policy outlook, 2021, იხ. ბმული, ბოლოს ნანახია: 25/04.2023

[49] წყარო: საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრი (ECPRD), #5410 შეკითხვის პასუხი, სლოვაკეთი, პასუხი მიღებულია:14/04/2023

[50] წყარო: საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრი (ECPRD), #5410 შეკითხვის პასუხი, თურქეთი, პასუხი მიღებულია:14/04/2023

18. უკრაინა

„კომერციული საქმიანობის სფეროში სახელმწიფო მარეგულირებელი პოლიტიკის საფუძვლების შესახებ“ კანონის მიხედვით, რეგულირების გავლენის ანალიზის მომზადება სავალდებულოა ყველა იმ ნორმატიულ აქტზე რომელიც არეგულირებს კომერციულ საქმიანობას ან აწესრიგებს ურთიერთობებს საჯარო ინსტიტუტებს, მარეგულირებელ უწყებებსა და კერძო სექტორს შორის.[51] ამასთანავე, კანონმდებლობით განსაზღვრულია ნორმატიული აქტები, რომელზეც არ ვრცელდება რეგულირების გავლენის ანალიზის ვალდებულება.

შეფასების პროცესში ხდება სხვადასხვა სახის გავლენების ანალიზი, მათ შორის:

- ფინანსური და ეკონომიკური ზეგავლენის ანალიზი, ასევე გავლენა ბიუჯეტზე
- კანონის მოსალოდნელი სოციალური, ეკონომიკური, სამართლებრივი შედეგები
- გენდერული ასპექტები
- შესაბამისობა და გავლენა სახელმწიფო პროგრამებზე
- ანტიკორუფციული ექსპერტიზა

კანონის ინიცირების ეტაპზე, შესაბამისი ინიციატორი უწყება უზრუნველყოფს რეგულაციის მოსალოდნელი შედეგების ანალიზს სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებზე. რეგულირების გავლენის შეფასების პრინციპები და მიდგომები განსაზღვრულია შესაბამისი კანონმდებლობით.

RIA-ს ხარისხის კონტროლი მოიცავს შეფასების შესაბამისობის ანალიზს კანონმდებლობით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან. კანონპროექტის უმაღლეს რადაში დარეგისტრირების შემდგომ, შესაბამისი კომიტეტების მიერ ხდება კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგების პირველადი ანალიზი და შეფასება. საჭიროებისამებრ, უმაღლესი რადას ხელმძღვანელის ან მისი მოადგილის ან წამყვანი კომიტეტის გადაწყვეტილებით შესაძლოა დოკუმენტი გაიგზავნოს ექსპერტებთან დამატებითი სამართლებრივი, ეკონომიკური თუ სხვა სახის შეფასებისთვის. აღსანიშნავია, რომ RIA-ს განხორციელების პროცესში ჩართული პირების სერტიფიცირება სავალდებულო არ არის.

აღსანიშნავია, რომ ECPRD-ის პლატფორმიდან, უკრაინის წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, არ არის განსაზღვრული უწყება, რომელიც უზრუნველყოფს RIA-ს ხარისხის კონტროლს, თუმცა მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზის მიხედვით, შეფასების ანგარიშების ხარისხის კონტროლზე უფლებამოსილ უწყებად განსაზღვრულია სახელმწიფო მარეგულირებელი ადმინისტრაცია, თუმცა მისი კონკრეტული როლი აღნიშნულ პროცესში განსაზღვრული არ არის.

[51] წყარო: წყარო: საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრი (ECPRD), #5410 შეკითხვის პასუხი, თურქეთი, პასუხი მიღებულია:21/04/2023

19. დანია

დანიაში, შეფასება ტარდება ყველა სახის საკანონმდებლო დოკუმენტზე. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობაში სავალდებულოდ არ არის განსაზღვრული RIA-ს ჩატარება, კანონმდებლობის ხარისხის სახელმძღვანელო დოკუმენტის (On the Guidence on the Law Quality)[52] მუხლებში, განსაზღვრულია რომ თითოეული სახის ნორმატიული აქტისთვის უნდა იყოს მითითებული შემდეგი სახის ინფორმაცია:[53]

- გავლენები საჯარო ფინანსებზე
- ეკონომიკური, ფინანსური და სხვა სახის გავლენები ბიზნესზე
- გავლენა მოქალაქეებზე
- გავლენა კლიმატსა და გარემოზე

ამასთანავე, თუ რეგულაცია შემოღებულია დანიის ბიზნესის ზრდისა და განვითარების სამინისტროს ქვეშ არსებული ბიზნესის სააგენტოს მიერ და რეგულაციის მიღება იწვევს ბიზნესის წლიური ადმინისტრაციული ხარჯების ზრდას 4 მილიონ დანიურ კრონზე მეტად, აღნიშნულ შემთხვევაში საჭიროა დამატებითი შეფასების ჩატარება.[54]

RIA-ს მომზადების პროცესში ჩართული პირების სერტიფიცირების პრაქტიკა არ არსებობს[55]. RIA-ს ახორციელებს შესაბამისი სამინისტრო, რომელიც წარმოადგენს რეგულაციის ინიციატორს. ამასთანავე, აღნიშნული სამინისტრო არის პასუხისმგებელი ანგარიშის ხარისხზე. ამასთანავე, 2019 წელს დაარსებული დანიის ბიზნესის რეგულირების ფორუმი, ბიზნესის, ინდუსტრიისა და ფინანსური საკითხების სამინისტროსთან არსებული სამდივნოს საშუალებით უზრუნველყოფს მთავრობისთვის რჩევების მიცემას RIA-ს მეთოდოლოგიის და პრინციპების გამოყენებასთან დაკავშირებით, ასევე გარკვეულ შემთხვევებში ახორციელებს რეგულირების გავლენის სიღრმისეულ შეფასებას.[56]

20. პოლონეთი

პოლონეთი ეტაპობრივად ხვეწავს კარგი რეგულირების პრაქტიკის ინსტრუმენტებს. კარგი რეგულირების პრაქტიკის განვითარებასა და დანერგვაზე პასუხისმგებელია ეკონომიკური განვითარებისა და ტექნოლოგიების სამინისტრო, ხოლო პრემიერ მინისტრის კანცელარია ახორციელებს არსებული მარეგულირებელი ინსტრუმენტებისა ცენტრალურ ზედამხედველობას.

დღესდღეობით, რეგულირების გავლენის შეფასების ანალიზი სავალდებულოა ყველა რეგულაციაზე, გარდა პარლამენტის მიერ ინიცირებული კანონპროექტებისა. ამასთანავე, სავალდებულო მოთხოვნას წარმოადგენს საკანონმდებლო აქტის მომზადების პროცესში საჯარო კონსულტაციების ჩატარება. სამინისტროებს და ინიციატორ უწყებებს შესაძლებელია უკან დაუბრუნდეთ კანონპროექტი, იმ შემთხვევაში თუ სათანადოდ არ იქნა

[52] წყარო: დოკუმენტი ხელმისაწვდომია ბმულზე (ბოლოს ნანახია: 25.04.2023)
[53] წყარო: საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრი (ECPRD), #5410 შეკითხვის პასუხი, დანია, პასუხი მიღებულია:24/04/2023
[54] წყარო:მსოფლიო ბანკი, Global Indicators for Regulatory Governance (GIRC), დანია იხ. ბმული, ბოლოს ნანახია: 24.04.2023
[55] წყარო: საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრი (ECPRD), #5410 შეკითხვის პასუხი, დანია, პასუხი მიღებულია:24/04/2023
[56] წყარო: OECD Regulatory policy outlook 2021, დანია, იხ. ბმული, ბოლოს ნანახია: 26/04/2023

ჩატარებული საჯარო კონსულტაციები. ამასთანავე 2018 წლიდან სავალდებულოა კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება SME-სექტორზე.[57]

მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი რეგულაციებით პარლამენტის ზედა პალატის (სენატის) მიერ ინიცირებულ კანონპროექტებზე RIA-ს ჩატარება სავალდებულო არ არის, რეგლამენტის 77-ე მუხლის თანახმად, სენატის მიერ ინიცირებულ კანონპროექტებს თან უნდა ახლდეს დასაბუთება, სადაც ასახული იქნება მოსალოდნელი სოციალური, ეკონომიკური, ფინანსური და სამართლებრივი ეფექტები. ამასთანავე, 2016 წლიდან სენატმა აიღო ვალდებულება მოამზადოს RIA-ს დოკუმენტები მათ მიერ ინიცირებულ კანონპროექტებზე.

აღსანიშნავია, რომ პოლონეთი ეტაპობრივად ნერგავს Ex-Post შეფასებების განხორციელების პრაქტიკას. Ex-Post RIA შესაძლოა განხორციელდეს მინისტრთა საბჭოს, SME სექტორის ომბუდსმენის, მთავრობის საკანონმდებლო ოფისის ხელმძღვანელის ან სტრატეგიული ანალიზის ცენტრის ხელმძღვანელის მიერ.[58]

RIA ხორციელდება შესაბამისი სამინისტროების მიერ მიერ. ამასთანავე, პარლამენტის ზედა პალატაში (სენატში), შექმნილია RIA-ს გუნდი რომელიც მუშაობს სენატის კანცელარიის საკანონმდებლო ოფისში. ეს არის RIA-ს ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც სპეციალიზირებულია ეკონომიკურ საკითხებში და აქვს RIA-ს გამოცდილება მთავრობის საკანონმდებლო პროცესში. ექსპერტებს აქვთ ცოდნა ეკონომიკასა და საკანონმდებლო პროცესებთან დაკავშირებით. თუმცა, ექსპერტების სერტიფიცირების ვალდებულება მოთხოვნილი არ არის.[59]

კანონმდებლობით, RIA-ს ხარისხის კონტროლი სავალდებულო არ არის თუმცა ხორციელდება სტრატეგიული ანალიზის ცენტრის მიერ, რომელიც შეიქმნა 2018 წელს, როგორც პრემიერ მინისტრის სათათბირო ორგანო. ამასთანავე, პრემიერ მინისტრის კანცელარიაში არსებობსIA-ს დეპარტამენტი., რომელიც ამზადებს მოსაზრებებს მომზადებული რეგულირების გავლენის შეფასების შესახებ და აანალიზებს წარდგენილი ინიციატივების შესაბამისობას სამინისტროების სტრატეგიული და სამოქმდო გეგმებთან, ასევე აფასებს შესაბამისობას სხვა სამართლებრივ აქტებთან[60]

21. პორტუგალია

რეგულირების გავლენის შეფასების პრაქტიკის დანერგვა დაიწყო 2017 წლიდან და ეტაპობრივად ფართოვდება მარეგულირებელი ჩარჩო RIA-ს ინსტიტუციონალიზაციის მიზნით. ამჟამად, მინისტრთა საბჭოს მიერ ხორციელდება პროექტი „How much does it cost", რომლის მიზანია შეამციროს რეგულირების ზედმეტი ადმინისტრაციული ხარჯი და ტვირთი ბიზნესისა და მოქალაქეებისთვის.[61]

მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტებზე სავალდებულოა მომზადდეს მოსალოდნელი გავლენების პირველადი შეფასება. რაც შეეხება, პარლამენტის მიერ

[57] წყარო: OECD Regulatory Policy Outlook., 2021, პოლონეთი, იხ. ბმული, ბოლო ნანახია 26/04/2023
[58] წყარო: OECD Regulatory Policy Outlook., 2021, პოლონეთი, იხ. ბმული, ბოლო ნანახია 26/04/2023
[59] წყარო:წყარო: საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრი (ECPRD), #5410 შეკითხვის პასუხი, პოლონეთი, პასუხი მიღებულია:24/04/2023
[60] წყარო:წყარო: საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრი (ECPRD), #5410 შეკითხვის პასუხი, პოლონეთი, პასუხი მიღებულია:24/04/2023
[61] წყარო: OECD Regulatory Policy Outlook, 2021, პორტუგალია, იხ. ბმული, ბოლოს ნანახია: 26/04/2023

ინიცირებულ კანონპროექტებს, სავალდებულოა რომ თან ახლდეს ტექნიკური განმარტებები სადაც ასახული იქნება მოსალოდნელი შედეგების, მათ შორის ხარჯების მოკლე შეჯამება და ასევე წარმოდგენილი იქნება რეგულაციის გენდერული ზეგავლენის შედეგები.[62]

RIA-ს ინსტიტუციონალიზაციის მიზნით, მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სამართლებრივ ცენტრში (Legal Center of the Presidency of the council of Ministers) შეიქმნა რეგულაციის გავლენის შეფასების ტექნიკური სამმართველო (UTAIL), რომელიც უზრუნველყოფს RIA-ს პრაქტიკის დანერგვის ზედამხედველობას, ახორციელებს ტრენინგებს შესაბამისი სამინისტროებისთვის, და ახორციელებს მომზადებული Ex-ante და Ex-Post RIA-ს ანგარიშების ხარისხობრივ შემოწმებას.[63]

22. ესპანეთი

RIA-ს ჩატარება სავალდებულოა მთავრობის მიერ ინიცირებულ კანონპროექტებსა და მარეგულირებელ აქტებზე. შეფასება უნდა განხორციელდეს შესაბამისი ინიციატორი სამინისტროს ან სხვა უწყების მიერ და უნდა ასახავდეს კანონპროექტის მოსალოდნელ ეკონომიკურ, ფინანსურ გავლენებს, ასევე გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტზეც. ამასთანავე, შეფასების ანგარიში უნდა მოიცავდეს გენდერული ზეგავლენის ანალიზსა და ეკონომიკურ გავლენას SME სექტორზე. RIA-ს ჩატარებაში ჩართული პირების სერტიფიცირება სავალდებულო არ არის. რაც შეეხება ხარისხის კონტროლს, RIA-ს ხარისხის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი ერთიანი უწყება არ არის განსაზღვრული.[64]

23. საფრანგეთი

Ex-Ante RIA-ს ჩატარება სავალდებულოა პირველად კანონმდებლობასა და შესაბამის კანონქვემდებარე აქტებზე, ხოლო Ex-Post RIA მზადდება საჭიროებისამებრ. RIA მზადდება სამთავრობო ინსტიტუტებში და პარლამენტში დასაქმებული საჯარო მოხელეების მიერ. RIA-ს მომზადებაში ჩართული პირების სერტიფიცირება სავალდებულო არ არის.[65]

ხარისხის კონტროლს ახორციელებს პრემიერ მინისტრის დაქვემდებარებაში შექმნილი მთავრობის გენერალური სამდივნო (, the Secrétariat Général du Gouvernement (SGG)), რომელიც აფასებს RIA-ს განხორციელების პროცესის შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან.[66]

24. უნგრეთი

RIA-ს მომზადება სავალდებულოა პირველადი კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე აქტებისთვის. შეფასებას ახორციელებს რეგულაციის ინიციატორი სამინისტრო, რომელიც

[62] წყარო:საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრი (ECPRD), #5410 შეკითხვის პასუხი, პორტუგალია, პასუხი მიღებულია:24/04/2023
[63] წყარო: OECD Regulatory Policy Outlook, 2021, პორტუგალია, იხ. ბმული, ბოლოს ნანახია: 26/04/2023
[64] წყარო: საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრი (ECPRD), #5410 შეკითხვის პასუხი, ესპანეთი, პასუხი მიღებულია:24/04/2023
[65] წყარო: საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრი (ECPRD), #5410 შეკითხვის პასუხი, საფრანგეთი, პასუხი მიღებულია:25/04/2023
[66] წყარო: OECD Regulatory Policy Outlook 2021, საფრანგეთი, იხ. ბმული, ბოლოს ნანახია: 26.04.2023

ასევე არის პასუხისმგებელი შეფასების ხარისხზე. RIA-ს ექსპერტების სავალდებულო სერტიფიცირების პრაქტიკა არ არსებობს.[67]

25. გაერთიანებული სამეფო

საკანონმდებლო ინიციატივები და რეგულაციები, რომლის დანერგვაც გამოიწვევს მნიშვნელოვან სოციალურ, ეკონომიკურ თუ სხვა სახის გავლენას საჭიროებს დეტალური RIA-ს განხორციელებას. RIA მზადდება შესაბამისი ინიციატორი უწყების მიერ, ხოლო შეფასების ხარისხის კონტროლს ახორციელებს მარეგულირებელი პოლიტიკის კომიტეტი (Regulatory Policy Committee), რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელ უწყებას და შედგება დამოუკიდებელი ექსპერტებისგან, რომელთაც აქვთ სხვადასხვა სფეროში სექტორული ცოდნა და გამოცდილება. უშუალოდ RIA-ს ექსპერტთა სერტიფიცირება სავალდებულო არ არის, თუმცა საჯარო მოხელეები რომლებიც ჩართულნი არიან რეგულაციის შეფასების, განხილვისა და დამტკიცების პროცესში უნდა იყვნენ დატრენინგებულნი და ფლობდნენ აკრედიტაციას შესაბამის სფეროში.[68]

[67] წყარო: საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრი (ECPRD), #5410 შეკითხვის პასუხი, უნგრეთი, პასუხი მიღებულია:25/04/2023

[68] წყარო: საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრი (ECPRD), #5410 შეკითხვის პასუხი, გაერთიანებული სამეფო, პასუხი მიღებულია:25/04/2023

გამოყენებული რესურსები

1. საპარლამენტო კვლევის და დოკუმენტაციის ცენტრის (ECPRD) პლატფორმიდან #5410 შეკითხვის პასუხად შემოსული ინფორმაცია;
2. მსოფლიო ბანკი, მმართველობის გლობალური ინდიკატორების მონაცემთა ბაზა, ბმული, ბოლოს ნანახია: 26 /04/2023;
3. მსოფლიო ბანკი, პუბლიკაცია „Global Indicators of Regulatory Governance: Worldwide Practices of Regulatory Impact Assessments“, ხელმისაწვდომია ბმულზე , ბოლოს ნანახია: 19/04/2023;
4. რეგულირების გავლენის შეფასება დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებში, SIGMA PAPER, #61, 2021 წლის იანვარი, იხ. ბმული, ბოლოს ნანახია: 24/04/2023;
5. OECD Regulatory Outllook, 2021, იხ. ბმული, ბოლოს ნანახია: 24/04/2023
6. მსოფლიო ბანკი, Reimbursable Advisory Services Agreement on Regulatory Impact Assessment (RIA) III: Strengthening the Capacity of the Romanian Administration to Carry Out Impact Studies for Better Regulations - P16790, First Annual Report, October 2020, იხ. ბმული, ბოლოს ნანახია: 25/04/2023

სხვა სასარგებლო ბმულები

1. Impact Assessment Handboock, EU Parliament, იხ. ბმული
2. EU Commission, Better Regulation Toolbox, ნოემბერი, 2021, იხ. ბმული
3. DECISION OF THE PRESIDENT OF THE EUROPEAN COMMISSION on an independent Regulatory Scrutiny Board, ბმული შესწორებული ვერსია ხელმისაწვდომია ბმულზე
4. EU Parliament Think Tank Portal. იხ. ბმული
5. ბელგია, The federal Law of 15 December 2013, იხ. ბმული (ხელმისაწვდომია მხოლოდ ფრანგულ ენაზე)
6. კანადა: Treasury Board of Canada Secretariat, იხ. ბმული
7. კანადა: Policy on Regulatory Development , იხ. ბმული
8. კანადა: Cabinet Directive on Regulation (the directive) , იხ. ბმული
9. კანადა: Guide to Making Federal Acts and Regulations, იხ. ბმული
10. კანადა: Requirements for developing, managing and reviewing regulations, იხ. ბმული
11. კანადა: Centre for Regulatory Innovation, იხ. ბმული
12. კანადა: Community of Federal Regulators, იხ. ბმული
13. კანადა: CFR Career Corner იხ. ბმული
14. გერმანია: Joint Rules and Procedures for Federal Ministries, იხ. ბმული
15. პორტუგალია: Rules of Procedure of the Assembleia da República, იხ. ბმული
16. გაერთიანებული სამეფო: Access to training and accreditation in best practice business cases , იხ. ბმული
17. გაერთიანებული სამეფო: Regulatory Policy committee, იხ. ბმული

18. გაერთიანებული სამეფო: Government Economic Service (GES) Technical Framework 2022 sets out the knowledge and skills required to be a member of the government economic service, at different grades.
19. გაერთიანებული სამეფო: Regulatory Policy Committee, The Regulatory Policy Committee scrutiny process, updated Sept 2019
20. გაერთიანებული სამეფო: The Green Book is guidance on how to appraise and evaluate policies, projects and programmes, which covers appraisal in the impact assessment process.